გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება № 36

2024 წლის 11 მარტი
ქ. გორი

ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის წყალარინების ქსელზე მიერთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

2023 წლის 13 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N16 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების მოწყობის საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა". აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა განცხადებით მიმართეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების მოთხოვნით და ბენეფიციარების მხრიდან წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წყალარინების სისტემაზე მომხმარებლის მიერთების საფასურის თანხა გადარიცხული იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" შესაბამის ანგარიშზე.

2023 წლის 18 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიას 19/2023352197-20 განცხადებით მომართა ინგა მაყიშვილმა პ/ნ59001088282 რომელიც არის ზემოთ აღნიშნული პროგრამით დაფინანსებული ბენეფიციარის, აწ გარცადვლილი თინა კოჩუაშვილის შვილი. ინგა მაყიშვილი ფაქტობრივი მდგომარეობით ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობს ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 -ში და ვინაიდან თინა კოჩუაშვილს ზემოაღნიშნული პროგრამით არ უსარგებლია, ითხოვს წყალარინების სისტემაზე მომხმარებლის მიერთების საფასურის 1500 (ათას ხუთასი) ლარით დაფინანსებას.

ვინაიდან გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვარის N16 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედების ვადა დასრულებულია, მოსახლეობის მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მითითებულ ფაქტებს ანგარიშგასაწევ სოციალურ/სამართლებრივ გარემოებად თვლის და მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს პროგრამა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ 26.12.2023 წლის N 32-202336019 მოხსენებითი ბარათით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის დახმარება თანხით: 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობოთ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის წყალარინების ქსელზე მიერთების მოწყობის საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის ერთ ფურცლად);

2. დამტკიცებულმა პროგრამამ საერთო ბიუჯეტით შეადგინოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი, რომელიც დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (ორგანიზაციული კოდი 02 03 04);

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის წყალარინების ქსელზე მიერთების ფინანსური დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

1.1 ამ პროგრამის მიზანია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და ქ. გორში, მეჯვისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის წყალარინების ქსელის მოწყობის უზრუნველსაყოფად 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით დახმარების გაცემა.

1.2. პროგრამით დაკმაყოფილდება ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახი რომელსაც არ აქვს წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა.

მუხლი 2. პროგრამის სახე და ბენეფიციართა განსაზღვრა

2.1 პროგრამის სახეა ფულადი სოციალური დახმარება;

2.2 პროგრამაში ბენეფიციარი არის ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახი, რომელსაც არ აქვს წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა. ბენეფიციარის იდენტიფიცირება და დაფინანსება ხორციელდება წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

3.1პროგრამის განხორციელებისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალური მოცულობაა **1500 (ათას ხუთასი)** ლარი.

3.2 წარმოდგენილი ფინანსური დახმარება მოიცავს ერთჯერად 1500 (ათას ხუთასი) ლარს ბენეფიციარზე.

3.3 პროგრამის დაფინანსების წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 03 04)

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ადგილი და ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება განხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით, უნაღდო ანგარიშსწორებით მეშვეობით.

მუხლი 5. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დაიწყება 2024 წლის მარტში და დასრულდება 2024 წლის ბოლომდე.